ტრენინგის სახელმძღვანელო

ეთნიკური უმცირესობები საქართველოში და ევროპეიზაცია

ნოემბერი | 2020

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

მეტი ევროპა საქართველოში

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ტრენინგის სახელმძღვანელო

ეთნიკური უმცირესობები საქართველოში და ევროპეიზაცია

ნოემბერი | 2020

ტრენინგის სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ინიციატივით, ამავე ინსტიტუტის გამგეობის წევრის, გიორგი სორდიასა და პოლიტიკის ანალიტიკოსის, სალომე მინესაშვილის ავტორობით, ერაზმუს + ჟან მონეს პროექტის „წაახალისე და იმოქმედე ევროპისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

ტრენინგის სახელმძღვანელოს შემუშავებაში წვლილი შეიტანეს ექსპერტებმა ევროკავშირისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებში:

გიორგი სორდია, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM)
ივანე ჩხიკვაძე, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
ნინო მარჯანიშვილი, თბილისში ერაზმუსის სტუდენტთა ქსელი (ESN)
კორნელი კაკაჩია, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
ელენე ფანჩულიძე, ევროპის კოლეჯი (ბრიუგე, ბელგია)
ნათია დაღელიშვილი, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR)

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

"პუბლიკაცია მომზადებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. ევროკომისია და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი პასუხისმგებლები არ არიან მასალის შინაარსზე".

“The European Commission support for the production of this publication does not constitute endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.”

© Georgian Institute of Politics, 2020
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge

სარჩევი

03 წინასიტყვაობა

04 შესავალი

06 სახელმძღვანელოს გამოყენების წესები

ტრენინგების პროგრამა

07 **თემა 1:** ევროკავშირი და საქართველო: თანამშრომლობის ისტორია და ფორმატები
08 1.1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები
11 1.2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობა: რას გულისხმობს აღნიშნული ფორმატები საქართველოსთვის?

14 **თემა 2:** ეთნიკური უმცირესობები და ევროკავშირი
15 2.1. უმცირესობათა უფლებები და ვალდებულებები ევროპული პოლიტიკის ჭრილში

18 **თემა 3:** ევროკავშირი-საქართველოს პროგრამები
19 3.1. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან
21 3.2. უვიზო მიმოსვლა ევროკავშირსა და შენგენის ზონის ქვეყნებში
24 3.3. საგანმანათლებლო პროგრამები ევროკავშირთან

26 დანართი 1: ტრენინგის ციკლი
28 დანართი 2: ტრენინგის შეფასების ფორმა
32 დანართი 3: ინსტრუქცია ტრენერებისათვის
34 დანართი 4: ტრენინგის დამატებითი მასალები

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია ევროკავშირის Erasmus + და ჟან მონეს პროგრამაში დაფინანსებული "წაახალისე და იმოქმედე ევროპისთვის" პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია წაახალისოს ევროკავშირის საკითხებზე დისკუსია საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საშუალებით.

ტრენინგ სახელმძღვანელო განკუთვნილია ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სამოქალაქო საზოგადოების და განათლების სფეროდან შერჩეული ტრენერებისათვის, რათა მათ შემდგომში შეძლონ ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამ მიზნით სახელმძღვანელო წარმოდგენილია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სახელმძღვანელოს შექმნას წინ უძღოდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საველე კვლევები და სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან. სახელმძღვანელოს კონკრეტული თემები სწორედ აღნიშნული კვლევების შედეგად შეირჩა. სახელმძღვანელოს შინაარსის და სამიზნე აუდიტორიამდე მიწოდების მეთოდების შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ ევროკავშირისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თემების ექსპერტები, რომლებიც ასევე გაუძღვნენ საპილოტე ტრენინგებს.

პროექტის ძირითადი სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებლები და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები. სამიზნე რეგიონები შერჩეულ იქნა საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების განსახლების არეალის და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკის გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არა მხოლოდ დისკუსიების წახალისება ევროპული პლიტიკის შესახებ და შესაბამისი ტრენინგების შეთავაზება სამიზნე აუდიტორიისთვის, არამედ უმცირესობათა საჭიროებების ადვოკატირება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

შესავალი

საქართველო ეთნიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან სახელმწიფოს წარმოადგენს ევროპაში. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 პროცენტი მიეკუთვნება ეთნიკური უმცირესობას, მათ შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.2 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი), რომლებიც კომპაქტურად არიან წარმოდგენილი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები). დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურ დასახლებებს ნაკლებად ქმნიან და განსახლებულები არიან სხვადასხვა რეგიონებსა და ურბანულ ცენტრებში. ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა და კულტურულად მრავალფეროვანი თემების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა საქართველოს ხელისუფლებისათვის. მთავარი გამოწვევა კი მდგომარეობს ადეკვატური და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებაში. ამ პოლიტიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ის თუ რამდენად მოახერხებს ქართული პოლიტიკური ორგანიზმი ჩართულობაზე, თანამონაწილეობასა და პლურალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში საქართველოს ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტსაც წარმოადგენს. ეს მიდგომა ნათლად არის დაფიქსირებული სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუტებთან საქართველოს თანამშრომლობის დოკუმენტებში. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც ევროკავშირთან ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებაში, ასევე ევროსაბჭოს და ეუთოს ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროსაბჭოს ეგიდით ინიცირებული უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო-კონვენცია, რომელიც იურიდიულად სავალდებულო მექანიზმებს აწესებს ხელმომწერი სახელმწიფოსთვის და შესაბამისად უპირველეს საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის.

საქართველო, რომლისთვისაც ევროპული ორიენტაცია მთავარ პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს, ვალდებულია განახორციელოს ჩართულობასა და ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამები ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. ამის გამოხატულებაა შესაბამის ევროპულ ინსტიტუტებთან ანგარიშგების მექანიზმების შექმნა და შიდა სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფა, რომლებიც ორიენტირებულია ეთნიკურ უმცირესობათა საჭიროებების გამოვლენასა და მათი ინტეგრაციისათვის შესაბამისი ზომების მიღებაზე. ამ მიზნის უზრუნველყოფისათვის 2005 წლიდან საქართველოში მოქმედებს უმცირესობათა სამოქალაქო ინგეგრაციის და შემწყნარებლობის ეროვნული კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმები. კონცეფცია შემდეგი ზოგადი მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული: თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომოის უზრუნველყოფა და სახელმწოფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის ცნობიერების დონე, როგორც საქართველოს ევროპული პოლიტიკის, ასევე უმცირესობებთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ უკიდურესად დაბალია, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის უსაფრთხოებასა და საზოგადოებაში ევროპული ღირებულებების გავრცელებაზე. წარმოდგენილი ტრენინგ სახელმძღვანელოს შექმნა განპირობებულია სწორედ ამ მთავარი გამოწვევის არსებობას უკავშირდება და მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობებში ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას.

ტრენინგის მასალაში გაერთიანებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა იმ ბენეფიტების მიღებისთვის, რის საშუალებასაც ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება იძლევა. პირველი თემა წარმოადგენს ევროკავშირის და საქართველოს ევროპული პოლიტიკის თეორიულ ჩარჩოს და მოიცავს ისეთ ქვეთემებს, როგორიცაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაცია და თანმხლები გამოწვევები და პერსპექტივები; ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატები და მათი არსი. მეორე თემა ეხება კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების როლს და უფლებებს საქართველოს ევროპული პოლიტიკის ფარგლებში. მესამე თემა ძირითადად პრაქტიკულ საკითხებს მოიცავს, თუ როგორ შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს ისეთი ბენეფიტების გამოყენება, როგორიცაა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო მიმოსვლა და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები.

სახელმძღვანელოს გამოყენების წესები

წარმოდგენილი სახელმძღვანელო განკუთვნილია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქაართლი) შერჩეული ტრენერებისათვის, რომლებიც შესაბამის სამიზნე ჯგუფებში ჩაატარებენ ტრენინგებს საქართველოს ევროპული პოლიტიკის და უმცირესობათა საკითხების შესახებ. სახელმძღვანელო წარმოადგენს დამხმარე მასალას აღნიშნული ტრენერებისთვის, რომელიც მოიცავს თითოეული თემის ძირითად შინაარსობრივ ასპექტებს და მასალის მიწოდების ჩარჩო-მიმართულებას.

სახელმძღვანელოში ასახულია ტრენინგების ზოგადი მიზნები, აქტუალობა, განსახილველ საკითხთა მიმოხილვა და სასარგებლო წყაროები. დანართების სახით კი სახელმძღვანელოს ახლავს პრაქტიკული სახის ინფორმაცია. კერძოდ, ტრენინგების განრიგი, ტრენინგების მომზადებასთან დაკავშირებული ფაზები, შეფასების ფორმები, ინსტრუქციები და ტრენინგების დამატებითი მასალა. ეს უკანასკნელი მოიცავს მოკლე ინფორმაციას ტრენინგზე წარმოდგენილი თითოეული თემის შესახებ, ტრენინგის ზოგად სტრუქტურას სესიებისა და მათი ხანგრძლივობის მიხედვით. ტრენინგის დაწყებამდე მნიშვნელოვანია ტრენერებმა კარგად გაიაზრონ ტრენინგების ზოგადი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, საკითხების განხილვის დროს კონცენტრაცია მოახდინონ საქართველოს ევროპულ პოლიტიკასა და ევროპული სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებაზე საქართველოში. ტრენინგის დაგეგმვამდე რეკომენდირებულია ტრენინგის ციკლის (დანართი 1) სტრუქტურის მიყოლა. წარმოდგენილი თემების მონახაზი და დამატებითი მასალები ემსახურება ზოდაგი მიმართულების მიცემას, თუმცა ტრენერებს შეუძლიათ თოთოეული თემის მონახაზი მოარგონ შესაბამის აუდიტორიას, ინსტრუქციების გათვალისწინებით (დანართი 3). თემის განვრცობის ან მოდიფიცირების პროცესში დამხმარე ფუნქციას ასრულებს სასარგებლო წყაროები. ტრენინგების ბოლოს რეკომენდირებულია მონაწილეებში შეფასების ფორმის გამოყენება (დანართი 2), ტრენინგის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით. სახელმძღვანელოში მოცემული ტრენინგები გადანაწილებულია სამ დღეზე, რომლის განმავლობაშიც ტრენერებს შეეძლებათ აირჩიონ ექვსიდან ხუთი თემა და შესაბამისად მათი თანმიმდევრობაც. ტრენინგების განაწილება რეკომენდირებულია შემდეგნაირად:

დღე 1: შესავალი; I თემა
დღე 2: II და III თემა
დღე 3: IV და V თემა; დასკვნა

ტრენინგების პროგრამა

<u>თემა 1:</u> ევროკავშირი და საქართველო: თანამშრომლობის ისტორია და ფორმატები

1.1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანია, მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმდინარე გამოწვევების შესახებ. ასევე, მონაწილეები გაეცნობიან ქვეყნის ევროპეიზაციის პერსპექტივებსა და შემაფერხებელ ფაქტორებს და ამ დრომდე მიღწეულ პროგრესს. გარდა ამისა, ტრენინგი მიზნად ისახავს, მონაწილეებს შეუქმნას წარმოდგენა არა მხოლოდ საქართველოს პერსპექტივის, არამედ ევროკავშირის ქვეყნების პერსპექტივების შესახებაც ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართულებით. ბოლოს, ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაცნობიან საქართველოსთვის სავარაუდო ევროინტეგრაციის მოდელებს და მიიღებენ ინფორმაციას რეგიონალური და ინდივიდუალური ინტეგრაციის მოდელების შესახებ შედარებით პერსპექტივაში.

ტრენინგის შედეგები

ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეები შეძლებენ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის დამოუკიდებლად განხილვასა და აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას. გარდა ამისა, ტრენინგის დასასრულს მონაწილეები შეძლებენ ქვეყნის ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებული ქართული და ევროპული პერსპექტივების შედარებით ჭრილში ანალიზს. ბოლოს, ტრენინგის ფარგლებში სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად, ისინი შეძლებენ ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების გააზრებასა და მათ უშუალოდ საკითხთან დაკავშირებას.

თემის აღწერა

დაახლოებით ორი ათწლეულია, რაც საქართველო ევროინტეგრაციის მიმართულებით მუშაობს უფრო ინტენსიურად, ვიდრე სხვა ყველა პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული ქვეყანა (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით). აღნიშნული ქმედება მიზნად ისახავს სტაბილური პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებას, მდგრადი უსაფრთხოებისა და ფუნქციონალური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებას. საქართველომ მრავალი წლის წინ საჯაროდ დაისახა მიზნად, შეექმნა კანონის უზენაესობა და აეშენებინა დემოკრატიული ინსტიტუტები. ევროკავშირთან 2014 წლის 24 ივნისის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით კი, საქართველომ აიღო ადამიანის უფლებების, დემოკრატიზაციის და 'კარგი მმართველობის' ევროკავშირთან სამართლებრივად დაახლოების ვალდებულებები. შეთანხმებამ საქართველო არა მარტო დააახლოვა ევროკავშირთან, არამედ ხელახლა დაადასტურა მისი, როგორც სამხრეთ კავკასიაში პროდასავლური ჩართულობის კუთხით და ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ჭრილში გრავიტაციული ცენტრის პოზიცია.

საქართველოს ევროინტეგრაციულმა პროცესმა უზრუნველყო მყარი შიდა პოზიტიური რეფორმების წახალისება მმართველობისა და დემოკრატიზაციის მიმართულებით. თუმცა მაშინ, როცა საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები გრძელდება პოლიტიკურ დონეზე, საზოგადოებრივ დონეზე ჩვენ ვაწყდებით საკმაოდ მზარდ, შესამჩნევ გადაღლას ევროპული ღირებულებების მიმართულებით. ქვეყანაში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი სისუსტე არის აცდენა ქართულ და სხვა ევროპულ საზოგადოებას შორის, რომელიც გამოწვეულია საერთო გამოცდილებების სიმცირით და საერთო-სახალხო დებატებში მონაწილეობის გამოცდილების ნაკლებობით. საქართველო თავისი რიტორიკით ევროპის ნაწილია, მაგრამ, რეალურად, ქვეყანაში არის ძალიან შეზღუდული ცოდნა და გაგება ევროპული რეალობის შესახებ.

მთავარი განსახილველი საკითხები:

- საქართველოს პოლიტიკური გამოწვევები და პერსპექტივები ევროპეიზაციის პროცესში;
- ევროპული ინტეგრაციის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები;
- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან დანახული საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები;
- საქართველოს ევროინტეგრაციის მოდელები: რეგიონალური ინტეგრაცია და ინდივიდუალური ინტეგრაცია.

სასარგებლო წყაროები და ლიტერატურა:

- ბ. ლებანიძე, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: რა იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდეგ? GIP, 2017. http://gip.ge/ge/საქართველოს-ევროპული-ინტ/
- ჯ. ლარსენი, პრობლემური სამეზობლო: როგორ უნდა გაუმკლავდეს საქართველო ავტორიტარული რეჟიმებიდან მომდინარე ზეწოლას, GIP, 2018. http://gip.ge/ge/პრობლემური-სამეზობლო-რო/
- მ. გრიგალაშვილი და მ. სარჯველაძე, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის გამოწვევები: პოლიტიკური კონტექსტი და სტატისტიკა, GIP, 2018. http://gip.ge/ge/საქართველოს-ვიზალიბერალ/
- ბ. ლებანიძე და ე. ფანჩულიძე, ევროკავშირთან თანამშრომლობა გარდამავალ პერიოდში: სტრატეგია საქართველოსთვის, GIP, 2018. http://gip.ge/ge/ევროკავშირთან-თანამშრო/
- ლ. კახიშვილი, დემოკრატიული კონსოლიდაცია საქართველოში: რატომ არის კონსენსუსი მნიშვნელოვანი? GIP, 2018. http://gip.ge/ge/დემოკრატიული-კონსოლიდაც/
- ექსპერტთა კომენტარი #9, რას ნიშნავს ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოლაპარაკებების დაწყებაზე დადებული ვეტო საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული მისწრაფებებისთვის?, GIP, 2019. http://gip.ge/ge/რას-ნიშნავს-ალბანეთთან-დ/
- კ. კაკაჩია, კ. ბეტგერი, ბ. ლებანიძე, ვ.პალმი და მიხეილ სარჯველაძე, ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში – როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?, GIP, 2019. http://gip.ge/ge/ქართულ-გერმანული-ურთიერთ/
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. https://bit.ly/31avPgh

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია: სასარგებლო ინფორმაცია.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასოცირების შესახებ შეთანხმება. https://bit.ly/3gbtHZS
- საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. საქართველო და ევროკავშირი. http://old.infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/
- საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობა: ფაქტები და რიცხვები. http://old.infocenter.gov.ge/1655-evrokavshirsa-da-saqarthvelos-thanamshromloba-faqtebi-da-rickhvebi.html

1.2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობა: რას გულისხმობს აღნიშნული ფორმატები საქართველოსთვის?

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანია, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდოს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ, განსაკუთრებით კი იმ ფორმატების შესახებ, რომლის ფარგლებშიც საქართველო ევროკავშირთან თანამშრომლობს. ტრენინგი მოკლედ მიმოიხილავს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას, მის მიზნებსა და განვითარების ეტაპებს, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას და ტრენინგის მონაწილეებს აუხსნის, თუ რას გულისხმობს აღნიშნულ ფორმატებში საქართველოს მონაწილეობა: პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებებს შორის კავშირების დამყარების თვალსაზრისით. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება პრაქტიკული ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ძირითადი მიმართულებების: (1) ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; (2) ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; (3) კავშირების გაღრმავება, ენერგოეფექტურობა, გარემოსა და კლიმატის ცვლილებები; (4) მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები - შესწავლასა და ანალიზში დაეხმარება ტრენინგის მონაწილეებს.

ტრენინგის შედეგები

ტრენინგის ბოლოს მონაწილეები შეძლებენ: შეაგროვონ და გაანალიზონ მონაცემები/ინფორმაცია ტრენინგის საკითხთან დაკავშირებით; მოამზადონ ნაშრომი წერილობითი ფორმით აღნიშნულ საკითხზე; ტრენინგის ფარგლებში მიღებულ მასალაზე დაყრდნობით თავად მოამზადონ მოხსენება/ტრენინგი; თავისუფლად იმსჯელონ/ისაუბრონ ტრენინგის ფარგლებში განხილულ საკითხებზე; უპასუხონ ტრენინგის საკითხთან დაკავშირებულ კითხვებსა და კომენტარებს; დამოუკიდებლად იკვლიონ ტრენინგის თემატიკის ფარგლებში განხილული ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების სხვდასხვა მიმართულებები; საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მოიძიონ/ გადაამოწმონ ინფორმაცია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობისა პროცესში ევროკავშირის როლის შესახებ; მოამზადონ პრაქტიკული სავარჯიშო ტრენინგის ფარგლებში მიღებულ მასალაზე დაყრდნობით.

თემის აღწერა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირში 2004 წელს 10 ახალი ქვეყნის გაწევრიანების შემდეგ შემუშავდა და მისი მიზანი იყო ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება. ამ პოლიტიკის მეშვეობით ევროკავშირი თავის მეზობლებს სთავაზობს პრივილეგირებულ ურთიერთობებს, რომლებიც ეფუძნება ერთობლივ სწრაფვას საერთო ფასეულობებისაკენ (დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება). ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სცილდება არსებული ურთიერთობების საზღვრებს და პარტნიორებს რეფორმების გზით უფრო ღრმა პოლიტიკურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას სთავაზობს, რეფორმების განხორციელების გზით. სწორედ ეს რეფორმებია მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ევროკავშირის უშუალო მეზობელ ქვეყნებს, რომლებსაც მასთან სახმელეთო თუ საზღვაო საზღვარი აქვთ, მათ შორის საქართველოს. აღმოსავლეთის პარტნიორობა (EaP) წარმოადგენს კოლექტიურ პოლიტიკურ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობების გაღრმავებასა და განმტკიცებას ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და მის ექვს აღმოსავლელ მეზობელს შორის, რომლებიცაა: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ამ ჩარჩოში ევროკავშირის მეზობლებთან ურთიერთობის გზამკვლევი არის ევროკავშირის გლობალური სტრატეგია და განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ევროკავშირის აღმოსავლელი მეზობლების სტაბილურობისა და მდგრადობის ზრდაზე. ამ ჩარჩოში არსებობს რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის საგრძნობი შედეგების უზრუნველყოფის ერთობლივი ვალდებულება. ამ მიზნების მისაღწევად, რიგაში 2015 წლის აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტზე მიღებული შეთანხმების შესაბამისად, თანამშრომლობა დაეფუძნა ოთხ ძირითად პრიორიტეტულ სფეროს, რომლებიცაა: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; კავშირების გაღრმავება, ენერგოეფექტურობა, გარემოსა და კლიმატის ცვლილებები; მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები. გარდა ამისა, ხორციელდება სტრუქტურული ურთიერთქმედება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით, ყველა სფეროში გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის და, ასევე, უფრო გამოკვეთილი და ინდივიდუალური სტრატეგიული კომუნიკაციების პოლიტიკის გატარების მიზნით.

მთავარი განსახილველი საკითხები:

- ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატები
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკა
- აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკა

სასარგებლო წყაროები:

- მ. ემერსონი და თ. კოვზირიძე. **საქართველო და ევროკავშირი: მოკლე გზამკვლევი**. http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/pub2.pdf
- EU Neighbours. **აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდეგ: სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება - აღმოსავლეთ პარტნიორობა ყველასთვის**. https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2020-03/EaP%20joint%20communication_factsheet4_GE.pdf
- EU4Business. **აღმოსავლეთის პარტნიორობა**. https://eu4business.eu/ka/agmosavletis-partnioroba
- ბ. ლებანიძე და ე. ფანჩულიძე. **ევროკავშირთან თანამშრომლობა გარდამავალ პერიოდში: სტრატეგია საქართველოსთვის**. GIP. http://gip.ge/wp-content/uploads/2018/05/PrintEleneBidzinaGEO.pdf

ტრენინგების პროგრამა

<u>თემა 2:</u> ეთნიკური უმცირესობები და ევროკავშირი

2.1. უმცირესობათა უფლებები და ვალდებულებები ევროპული პოლიტიკის ჭრილში

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა ზოგადი უფლებები. ასევე თუ რა როლი და ადგილი უჭირავთ უმცირესობებს ევროპული პოლიტიკის ჭრილში, რაში მდგომარეობს უმცირესობათა უფლებების დაცვის და ინტეგრაციის ევროპული პოლიტიკის მიზნები და რა საერთაშორისო და ადგილობრივი ვალდებულებები ეკისრება ქვეყანას ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პროცესში. ტრენინგი ასევე მიზნად ისახავს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა ლანდშაპტის წარმოჩენას და მათი გამოწვევების გაცნობას.

ტრენინგის შედეგები

ტრენინგის დასრულებისას მონაწილეები შეძლებენ მოახდინონ როგორც საქართველოში, ასევე ევროპის მასშტაბით უმცირესობათა ზუსტი იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების და პრობლემატიკის განსაზღვრა, უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის გადადგმული ნაბიჯების და განხორციელებული პროგრამების შეფასება. მონაწილეებს ეცოდინებათ უმცირესობათა დაცვისთვის და ინტეგრაციისათვის რა კონკრეტული საერთაშორისო მექანიზმები არსებობს, საქართველოს რომელი ვალდებულებები აქვს აღებული ამ სფეროში და როგორ ხორციელდება მათი შესრულება. ტრენინგის მონაწილეები ასევე ზუსტად შესძლებენ საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების სურათის გააზრებას, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების განსახლების არეალის, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შესწავლის ჩათვლით.

თემის აღწერა

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 პროცენტი მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას, მათ შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6. 2 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი), რომლებიც კომპაქტურად არიან წარმოდგენილი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები). დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურ დასახლებებს ნაკლებად ქმნიან და განსახლებულები არიან სხვადასხვა რეგიონებსა და ურბანულ ცენტრებში. ასეთი მრავალფეროვნების გათვალისწინებით ქვეყანა ახორციელებს უმცირესობათა დაცვასა და ინტეგრაციაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რაც ასევე თანხვედრაში მოდის საქართველოს ევროპულ პოლიტიკასთან. როგორც ევროკავშირისათვის, ასევე სხვა ევროპული ინსტიტუტებისათვის უმცირესობათა უფლებები ერთ-ერთ მთავარ ფასეულობას

წარმოადგენს. ამ საკითხების გათვალისწინებით, ტრენინგი ფოკუსირებული იქნება ოთხ ძირითად საკითზე. კერძოდ ,როგორია უმცირესობათა საერთაშორისო სამართლებრივი განსაზღვრება, ვინ ითვლებიან ეროვნულ უმცირესობად; როგორ განისაზღვრება უმცირესობათა უფლებები ევროპაში და რა ვალდებულებებს აკისრებენ სხვადასხვა ევროპული ინსტიტუტები, უმცირესობათა დაცვის და მრავალფეროვნების მართვის უზრუნველმყოფელი რომელი ადგილობრივი ვალდებულებები არსებობს საქართველოში; უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები და მათი გამოყენება საქართველოში.

მთავარი განსახილველი საკითხები:

- უმცირესობათა ცნების საერთაშორისო სამართლებრივი დეფინიცია (როგორ განისაზღვრება ეთნიკური და ეროვნული უმცირესობა, რა განსხვავებაა ამ ცნებებს შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვის და ინტეგრაციის რა საერთაშორისო მოდელები არსებობს. მოდელები განხილული იქნება სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების და პოლიტიკური ტრადიციების ჩვენებით);
- უმცირესობები საქართველოში (ვინ არიან ეთნიკური და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, სტატისტიკური მონაცემები და განსახლების არეალი, სახელმწიფო პოლიტიკა უმცირესობების მიმართ, როგორია უმცირესობების აღქმა სახელმწიფოს მიერ და უმცირესობათა პოლიტიკის რომელ საერთაშორისო მოდელთან ამჟღავნებს ის სიახლოვეს);
- უმცირესობათა პოლიტიკის მართვის საერთაშორისო მექანიზმები და მათი განხორციელება. (ტრენინგის ამ ნაწილში ძირითადი აქცენტი გაკეთდება ევროპულ საერთაშორისო მექანიზმების არსზე და მათ გამოყენებაზე. დეტალურად იქნება წარმოდგენილი ევროსაბჭოს, ეუთოს და ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები. განსახილველ მექანიზმებს შორის არის: ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია, რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, ეუთოს თემატური რეკომენდაციები უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის სფეროში. განხილული იქნება თითოეული საერთაშორისო მექანიზმის მთავარი მიზნები და დანიშნულება, ასევე ის პრაქტიკული ეტაპები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას მონაწილე სახელმწიფოებში);
- საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო და ადგილობრივი ვალდებულებები უმცირესობათა უფლებების დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით; როგორ ხორციელდება ამ ვალდებულებების შესრულება, საერთაშორისო მექანიზმების მიმართ რა სახის ანგარიშგება არსებობს და როგორია ამ პროცესში ადგილობრივი, ქართული სამოქალაქო საზოგაადოების ორგანიზაციების როლი და ფუნქცია.

სასარგებლო წყაროები

- უმცირესობათა მართვის პოლიტიკა: პრაქტიკული სახელმძღვანელო. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, თბილისი 2012;
- ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა - სახელმძღვანელო. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019;
- ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში. პოლიტიკის ნარკვევები. ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის, 2017;
- ეუთოს ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი, სექტემბერი 1999;
- ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ მომზადებული კარტოგრაფიული მასალა და საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების ინტერაქტიული ვებ-რუკა http://csem.ge/interactivemap/
- Minority Issues in Europe: Rights, Concepts, Policy. Edited by Tove H. Malloy. Frank & Timme 2013;
- Minority Issues Mainstreaming in the South Caucasus. A Practical Guide. European Centre for Minority Issues 2011;
- The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. OSCE HCNM, November 2012;
- Jean-Marie Woehrling. The European Charter for Regional or Minority Languages. A Critical Commentary. Council of Europe Publishing 2005;
- Filling the Frame – Five Years of Monitoring the Framework Convention for the Protection of National Minorities. Council of Europe Publishing 2004.

ტრენინგების პროგრამა

<u>თემა 3:</u> ევროკავშირი-საქართველოს პროგრამები

3.1. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანა მსმენელებს სისტემურად გააცნოს საქართველო-ევროკავშირს შორის არსებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ფარგლებში არსებული შეღავათები; ის ძირითადი მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის დროს - სატარიფო (DCFTA-ის გამონაკლისები) და არასატარიფო ბარიერები; გამოუმუშავოს მონაწილეებს უნარები, თავად მოიკვლიონ სავაჭრო დინამიკა და შეაფასონ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორები და შეძლონ ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება.

ტრენინგის შედეგები

ტრენინგის ბოლოს მონაწილეები შეძლებენ: DCFTA-ის შერულების შეფასებას; DCFTA-ის პრეფერენციების გამოყენებას; ქართული წარმოშობის დასაბუთებას (რათა საშეღავათო რეჟიმი ამოქმედდეს); ხარისხის ინფრასტრუქტურის მოთხოვნების შეფასებას; ევროკავშირის ბაზრის სეგმენტაციას და კონკრეტულ ბაზარზე გასვლის სტრატეგიის შემუშავებას; სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებით სამიზნე ბაზრების გამოვლენას და კონკურენტების ანალიზს; ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის სრული ღირებულებათა ჯაჭვის შეფასებას.

თემის აღწერა

ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA) გადაჰყავს ქვეყანა საშეღავათო სავაჭრო რეჟიმზე და ქმნის შესაძლებლობას, გაზარდოს ბაზარზე წვდომა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რაც ერთმანეთთან ჰარმონიზებულ რეგულაციებზეა დაფუძნებული. კერძოდ, (DCFTA) საშუალებას აძლევს ქართველ მეწარმეებს, განათავსონ თავიანთი პროდუქტი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე სატარიფო ბარიერებისა და კვოტების გარეშე. DCFTA-ის იმპლემენტაცია მოითხოვს, რომ საქართველომ თავისი სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას შეუსაბამოს, რაც ნიშნავს იმას, რომ შერჩეული სექტორის ყველა ქართველი მწარმოებელი ვალდებული იქნება დაემორჩილოს ახალ მოთხოვნებს. ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს პროდუქტის ხარისხსა და მის უსაფრთხოებას მომხმარებლებისთვის, არამედ საშუალებას მისცემს პროდუქტს, რომ მზად იყოს ექსპორტზე გასატანად მსოფლიო მასშტაბით. ქართული პროდუქციის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის ძირითადი გამოწვევები ევროკავშირის უმაღლეს სტანდარტებთან შეუსაბამობა და გაუმართავი წარმოების ჯაჭვია, რაც არასატარიფო ბარიერების გათვალისწინებით აძვირებს ქართული წარმოშობის პროდუქტს და არ ქმნის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის სურათს. ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტი, რომელიც ხასიათდება მაღალი მსყიდველობითი უნარით, რამაც მოიცვა 502 მლნ.-ზე მეტი პოტენციური მყიდველი, გულისხმობს შემდეგი წინაპირობების დაკმაყოფილებას: DCFTA-ის ძალაში შესვლის მიუხედავად, ევროკავშირის ბაზარი ღიაა მხოლოდ იმ პროდუქციისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ევროპის ბაზრისთვის განსაზღვრულ შიდა რეგულაციებს.

მთავარი განსახილველი საკითხები

- საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა (სავაჭრო ხელშეკრულებები და რეჟიმები, სატარიფო და არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში);
- საქართველო-ევროკავშირის ექსპორტის დინამიკა (ვაჭრობის სტატისტიკა, ჰარმონიზებული სასაქონლო კოდების სისტემა, საექსპორტო პროდუქტების დინამიკა, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორები);
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) - შეთანხმების არსი, ძირითადი მიმართულებები, გამონაკლისები, ხარისხის ინფრასტრუქტურა, DCFTA-ის განხორციელება საქართველოში;
- როგორ ვისარგებლოთ DCFTA-ის შეღავათებით? (რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი, რა პროცედურები უნდა გაიაროს ევროკავშირის ბაზარზე მოსახვედრად, როგორ შეიძლება ჩაერთოს დაინტერესებული პირი).

სასარგებლო წყაროები

- თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან. http://www.dcfta.gov.ge/
- ასოცირების კვალდაკვალ. http://asocireba.ge/
- ასოცირების ხელშეკრულების ინტერაქტიული გზამკვლევი. http://aa.ge/
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავება: რა, რატომ და როგორ?http://www.3dcftas.eu/system/tdf/GEO%20Handbook%202nd_GEO%20ver.pdf?file=1&type=node&id=497&force=
- ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, http://eugeorgia.info/ka/news/soflis-meurneoba/3/
- Kalo. https://kalo.ge/videos
- ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტი (ქართულად, აფხაზურად, ოსურად, აზერბაიჯანულად, სომხურად, ინგლისურად). http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1

3.2. უვიზო მიმოსვლა ევროკავშირსა და შენგენის ზონის ქვეყნებში

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანია მონაწილეების ინფორმირების გაზრდა საქართველო-ევროკავშირს შორის მიგრაციის მიმართულებით არსებულ საკითხებზე. ამასთან ერთად, ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდებათ ამომწურავი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის თაობაზე. ყოველივე ეს თავის თავში მოიცავს ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ რეფორმებს და ასევე უვიზო მიმოსვლით გათვალისწინებულ შეღავათებსა და შესაძლებლობებს საქართველოს მოქალაქეებისათვის. ტრენინგის შედეგად მონაწილეებს განუვითარდებათ საჭირო უნარ-ჩვევები და შეძლებენ თავად მოიძიონ შესაბამისი ინფორმაცია უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით. ინფორმირების დონის ზრდა თავის მხრივ ხელს შეუწყობს იმას, რომ ტრენინგის მონაწილეები ნაკლებად შეიძლება გახდნენ ანტიდასავლური პროპაგანდის მსხვერპლები და თავის მხრივ მათ შეეძლებათ მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის საზოგადოების ფართო ფენებში გავრცელება. ტრენინგში ასევე ყურადღება გამახვილდება COVID-19-ის შესაძლო გავლენაზე საქართველო-ევროკავშირს შორის არსებულ უვიზო მიმოსვლაზე.

ტრენინგის შედეგები

ტრენინგის შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ მოიპოვონ და გაანალიზონ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, რაც საქართველო-ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკასა და უშუალოდ უვიზო მიმოსვლას შეეხება. ტრენინგის მონაწილეები ასევე შეძლებენ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დაუპირისპირდნენ ანტიდასავლურ დისკურსს და ანტილიბერალურ განწყობებს საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. ტრენინგის მონაწილეებს განუვითარდებათ შესაბამის უნარ-ჩვებები, რაც უკავშირდება ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის და უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების და შესაბამისი ანგარიშების დამუშავებას. ისინი ასევე შეძლებენ წვლილი შეიტანონ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით ქვეყნის მასშტაბით ჩასატარებელ საინფორმაციო კამპანიებში, რაც თავის მხრივ შეამცირებს ევროკავშირში არარეგულალურ (ე.წ. უკანონო) მიგრაციას და მოახდენს უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის შესაძლო გამოყენების მინიმალიზებას. ტრენინგს შესაძლოა ჰქონდეს მულტიპლიკატორული ეფექტი, რაც გულისხმობს მონაწილეების მხრიდან ინფორმაციის თავიანთი თემის წევრებთან მიტანას და ფართოდ გავრცელებას.

თემის აღწერა

2017 წლიდან ბიომეტრული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ მოკლევადიანი (90 დღემდე) ვიზიტებით უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში. ევროკავშირის მხრიდან აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა საქართველოსთვის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გადმოცემა, რომელიც ითვალისწინებს მიგრაციის, უსაფრთხოების, მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით სხვადასხვა სახის რეფორმის განხორციელებას და ამ რეფორმების შედეგად მიღწეული შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფას. COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე მილიონამდე საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა ევროკავშირსა და შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო გადაადგილების უფლებით. ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ოთხ ბლოკად არის დაყოფილი და იგი მოიცავს რეფორმების გატარებას საზღვრის მართვის, თანასწორობის, პერსონალური მონაცემების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მიმართლებებით. 2014-2017 წლებში საქართველომ სრულად შეასრულა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმები, რაც შემდგომში მოკლევადიანი ვიზების გაუქმების წინაპირობა გახდა. მიუხედავად გატარებული რეფორმისა ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს მხრიდან გატარებული რეფორმების შეუქცევადობის მონიტორინგს და აქვეყნებს ყოველწლიურ „ვიზის შეჩერების მექანიზმის" ანგარიშს. ანგარიშში წარმოდგენილია როგორც მიღწეული შედეგები ასევე გამოწვევები, რაც უმეტესწილად ევროკავშირში და შენგენის ზონის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებით დაკომპლექტებულ ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებსა და უსაფუძვლო თავშესაფრის მაძიებლებს შეეხებათ. საგულისხმოა, რომ მზარდია საქართველოს იმ მოქალაქეების რაოდენობა, ვინც თავშესაფარს ითხოვს ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში. 2019 წელს ამ რიცხვმა 21 570 საქართველოს მოქალაქე შეადგინა, რაც ბოლო ცხრა წლის მანძილზე სამჯერ არის გაზრდილი. შესაბამისად, უვიზო მიმოსვლა არ არის მარადიული და შესაძლოა ის გადაიხედოს ევროკავშირის მიერ მიღებული უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმით გათვალისწიებული პირობების დარღვევის გათვალისწინებით.

მთავარი განსახილველი საკითხები

- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები მიგრაციის პოლიტიკის ჭრილში
- ვიზის ფასილიტაციის შეთანხმება
- რეადმისიის შეთანხმება
- ვიზის ლიბერალიზაციიის სამოქმედო გეგმა
- მოკლევადიანი ვიზების გაუქმება და მისი პრაქტიკული შედეგები
- შრომითი მიგრაცია
- ცირკულარული მიგრაცია
- თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებული გამოწვევები
- უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი
- COVID-19-ის გავლენა ევროკავშირ-საქართველოს მიგრაციის პოლიტიკასა და პრაქტიკაზე
- სტატისტიკური მონაცემები და ევროკავშირის ანგარიშები

სასარგებლო წყაროები

- ევროკავშირის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო www.frontex.europa.eu
- ევროკომისიის საშინაო საქმეებისა და მიგრაციის დირექტორატი https://ec.europa.eu/home-affairs/
- ევროკავშირის თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ოფისი https://www.easo.europa.eu/
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია http://migration.commission.ge/index.php?article_id=59&clang=0
- საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია http://migration.commission.ge/files/ms_matsne_geo_06.08.18.pdf
- ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა http://migration.commission.ge/files/savizo-liberalizaciis-samoqmedo-gegma_qartulad.pdf
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმება http://migration.commission.ge/files/1.pdf
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვო პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმება http://migration.commission.ge/files/._2.pdf
- ევროკომისიის მესამე ანგარიში (10/07/2020) ვიზის ლიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის შესახებ https://bit.ly/2OGzgo7
- ვიზის შეჩერების მექანიზმის შესახებ ევროკომისიის მექანიზმის დამხმარე დოკუმენტი https://bit.ly/2ZPvwqO
- „რა დაგვჭირდება უვიზო მიმოსვლისთვის - ყველაფერი რაც გამგზავრებამდე უნდა ვიცოდეთ“ https://bit.ly/39R52s3

3.3. საგანმანათლებლო პროგრამები ევროკავშირთან

ტრენინგის მიზანი

ტრენინგის მიზანია აუდიტორიას გააცნოს თუ რა სახის შესაძლებლობები არსებობს ერაზმუსის პროექტების ფარგლებში და როგორ ისწავლონ და მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში დაფინანსებული სტიპენდიით. ტრენინგის მიმდინარეობისას მსმენელები ასევე გაეცნობიან შიდა პროცედურებს, თუ როგორ შეავსონ აპლიკაცია, როგორ მოხვდნენ დაფინანსებულ მონაწილეებს შორის და გაანალიზონ რამდენად ბევრი დადებითი მხარე აქვს ერაზმუსის პროექტებში მონაწილეობის მიღებას.

ტრენინგის შედეგები

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს: შეეძლებათ, მოიძიონ ESC-ის (European Solidarity Corp) ვაკანსიები და შეავსონ აპლიკაცია თავად; ეცოდინებათ, უნივერსიტეტის სემესტრული გაცვლითის პროგრამის ფარგლებში ვის უნდა მიმართონ და რა პროცედურების გავლა მოუწევთ; ეცოდინებათ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როგორ მოხვდნენ საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებით; ეცოდინებათ, სად მოიძიონ ინფორმაციები ერაზმუსის პროგრამების შესახებ; ეცოდინებათ ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის და კითხვებისთვის ერაზმუსის პროგრამებთან დაკავშირებით; ეცოდინებათ როგორ დაწერონ სამოტივაციო წერილი და როგორ შეადგინონ CV; ეცოდინებათ თუ რა ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ თითოეულ პროგრამაში მონაწილეობისთვის.

თემის აღწერა

ერაზმუს + არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრეინინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით. ტრენინგის მიმდინარეობისას შევეხები 3 მთავარ პროგრამას: საერთაშორისო კრედიტ მობილობა (International Credit Mobility – ICM) - მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის. გაცვლითი პროგრამები ხორციელდება საქართველოს და ევროპის (პროგრამის ქვეყნების) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში. სტუდენტი უნდა იყოს ბაკალავრის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტი, რათა შეძლოს საერთაშორისო კრედიტ მობილობის შესრულება.

სრული სამაგისტრო პროგრამები ევროპის უნივერსიტეტებში - ერობლივი სამაგისტრო პროგრამები - ევროპის რამოდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად შემუშავებულ პროგრამა. აპლიკანტი პროგრამას არჩევს დამოუკიდებლად, მას შემდეგ, რაც საბაკალავრო პროგრამას დაასრულებს თავის ან სხვა ქვეყანაში. აპლიკანტი ინდივიდუალურად განაცხადს აგზავნის პირდაპირ პროგრამის მაკოორდინირებელ უნივერსიტეტში. შერჩეული კანდიდატი ირჩევა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.

ESC (European Solidarity Corp) - ევროპის სოლიდარობის კორპუსი - პროგრამის მიზანია მოხალისეობის გზით ხელი შეუწყოს სოლიდარობას, როგორც ღირებულებას, გაზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. პროექტის ფარგლებში, შერჩეული მონაწილე მიდის საზღვარგარეთ 2 თვიდან 1 წლამდე ვადით, მოხალისეობრივად მუშაობს წინასწარ შერჩეულ ორგანიზაციაში და იღებს გამოცდილებას იმ სფეროში, რომელიც მას ყველაზე მეტად აინტერებს.

მთავარი განსახილველი საკითხები

- რას ნიშნავს ერაზმუსი და რა შესაძლებლობები არსებობს ერაზმუსის პროექტების ფარგლებში
- 3 პროგრამის განხილვა: სემესტრული გაცვლითი, სამაგისტრო პროგრამა, ევროპის სოლიდარობის კორპუსი
- რჩევები და გასათვალისწინებელი საკითხები აპლიკაციის შევსებამდე

სასარგებლო წყაროები

- Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი. http://erasmusplus.org.ge/
- სამაგისტრო პროგრამების კატალოგი. https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus/library/emjmd-catalogue_en
- ერაზმუსის სტუდენტთა გაერთიანების FB გვერდი. https://www.facebook.com/ESN.Tbilisi.ISU/
- ESN Tbilisi-ის YouTube არხი. https://www.youtube.com/channel/UCzRSAPhwKCottmUnueHOcDQ
- ინფორმაცია ESC-ის შესახებ https://europa.eu/youth/solidarity/faq_en

დანართი 1:

ტრენინგის ციკლი

- მონაწილეების საჭიროებების განსაზღვრა
- ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრა
- რეკომენდირებული შინაარსის განსაზღვრა
- ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა

- მონაწილეებისგან შეფასების მიღება
- მონაწილეების და კურსის შეფასება
- პოტენციური ცვლილებების იდენტიფიცირება



- დინამიური ტრენინგის ჩატარება
- მონაწილეების მოთხოვნებზე მორგება

- ტრენინგის ზოგადი შინაარსის განსაზღვრა
- თითოეული არეალის შინაარსის განსაზღვრა
- ინდივიდუალურ სესიებად დაყოფა
- მეთოდების შერჩევა
- მასალების მომზადება

დანართი 2:

ტრენინგის შეფასების ფორმა

შეფასების ფორმა

ტრენინგის თემა
ტრენინგის ადგილი
ტრენინგის თარიღი
ტრენერის სახელი

ტრენინგის მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი შეფასება. გთხოვთ, დაგვითმოთ რამდენიმე წუთი და უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემულ შკალაზე რომელიმე ციფრი.

შინაარსობრივი ნაწილი

1. მასალა გასაგებად და ორგანიზებულად იყო წარმოდგენილი

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

2. ტრენინგი შეესაბამებოდა დასახულ მიზნებსა და ამოცანებს

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

3. ჩემი ტრენინგზე დასწრების მიზნები მიღწეული იქნა

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

4. ტრენინგის შედეგად გაიზარდა ჩემი [სახელწოდება] საკითხის ცოდნა

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

5. მიღებული ინფორმაცია გამოსადეგი იქნება სამომავლო საქმიანობაში

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

ტრენერი

1. ტრენერი კარგად იყო მომზადებული

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

2. ტრენერმა გასაგებად წარმოადგინა თემა

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

3. ტრენერი შეკითხვებს პასუხობდა დამაკმაყოფილებლად

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

4. ტრენერი უზურნველყოფდა მონაწილეების აქტიურ ჩართულობას დისკუსიაში

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

ორგანიზაციული ნაწილი

1. შეხვედრა კარგად იყო ორგანიზებული ყველა საჭირო ინვენტარით

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

2. სატრენინგო სივრცე კომფორტული იყო

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

3. ტრენინგის ხანგრძლივობა და შესვენება იყო დაბალანსებული

1 სრულიად არ ვეთანხმები	**2**	**3**	**4**	**5**	სრულიად ვეთანხმები

რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ტრენინგში?

როგორ შეიძლება ტრენინგის გაუმჯობესება?

როგორ გამოიყენებთ ტრენინგიდან მიღებულ ცოდნას მომავალში?

სხვა დამატებითი კომენტარები?

დანართი 3:

ინსტრუქცია ტრენერებისათვის

ტრენინგების დაგეგმვისა და მიმდინარეობის დროს ტრენერებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

- ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწოდებულ მასალაში დაბალანსებულად იქნას ასახული თეორიული და პრაქტიკული სახის ინფორმაცია;
- ტრენინგის დაგემგვისა და ჩატარების დროს გაითვალისწინეთ მონაწილეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები;
- დარწმუნდით, რომ დაგეგმილი სესიები დაეხმარება მონაწილეებს შედეგების მიღწევაში. ამისათვის გაარკვიეთ წინასწარ ვინ არიან ტრენინგის მონაწილეები და რა საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ;
- ტრენინგის დაგეგმვაში გამოიყენეთ შერეული სახის სესიები, მათ შორის: შესავალი, წესების გაცნობა, უკუკავშირის სესია, დასკვნითი ნაწილი;
- რეალისტურად გაწერეთ მასალის რაოდენობა, რათა არ გადააჭარბოს მომზადებული მასალის მიწოდებამ მოცემულ დროს;
- იყავით მოქნილი და მზად იყავით საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი თემის გამოსატოვებლად ან ზოგიერთი თემისთვის მეტი დროის დასათმობად, თუ მონაწილეებისთვის ეს კონკრეტული თემა რთული გასაგებია;
- შეუსაბამეთ ინფორმაციის მიწოდების მეთოდები თქვენს ძლიერ მხარეებს, რათა ტრენინგი უფრო ეფექტური გამოდგეს;
- გამოიყენეთ ინფორმაციის მიწოდების შერეული მეთოდები, რათა გათვალისწინებული იქნას მონაწილეების სწავლის სხვადასხვა სტილი და შესაბამისა აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგის განმავლობაში;
- მიაწოდეთ ის დამატებითი მასალა, რაც მონაწილეებს რეალურად ესაჭიროებათ ან თვითონ მოითხოვენ;
- გამოიყენეთ მარტივი და გასაგები ენა, როგორც ტრენინგის ჩატარებისას, ისე მიწოდებულ მასალებში;
- მუდამ გახსოვდეთ ტრენინგის მიზანი და ეცადეთ არ გადაუხვიოთ მთავარ თემებს. თუმცა თუ შეატყობთ, რომ ზოგიერთი თემა ან მისი მიწოდების გზა არ მუშაობს მონაწილეებში, იყავით მოქნილი და მზად იყავით ცვლილებების შესატანად.

დანართი 4:

ტრენინგის დამატებითი მასალები

1.1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები

აქტივობა 1: შესავალი ნაწილი - ზოგადი დისკუსია საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ

ტრენინგის პირველ ნაწილში მონაწილეები მიიღებენ საბაზისო ინფორმაციას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის, მისი მიზნისა და მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. უფრო კონკრეტულად, მონაწილეები გაეცნობიან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების დინამიკას წლების განმავლობაში, მათ შორის დადებულ მნიშვნელოვან შეთანხმებებს (ასოცირების შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება), საქართველოს მიერ ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესში გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღებულ სარგებელს. აღნიშნულ ნაწილში მონაწილეები ასევე გაეცნობიან საქართველოს საზოგადოების განწყობებს ევროკავშირთან მიმართებაში.

აქტივობა 2: საინფორმაციო სესია <u>საქართველოს პოლიტიკური გამოწვევები და პერსპექტივები ევროპეიზაციის ნაწილში</u>

აღნიშნულ ნაწილში განხილული იქნება ის გამოწვევები, რასაც საქართველო ევროპეიზაციის პროცესში აწყდება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საზოგადოებრივ დონეზე არსებულ გამოწვევებზე, რადგან ევროინტეგრაციის პროცესში შეიმჩნევა ქართული საზოგადოების მზარდი გადაღლა ევროპული ღირებულებებით. აღნიშნული საკითხის განხილვისას დამხმარე მასალად გაანალიზებული იქნება სტატისტიკური მონაცემები საზოგადოებრივი განწყობების შესახებ ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის საკითხებთან მიმართებაში (კავკასიის ბარომეტრი, NDI-სა და IRI-ის კვლევები). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელზეც გამახვილდება ყურადღება, არის აცდენა ქართულ და ევროპულ საზოგადოებას შორის, რაც გამოწვეულია ინტერაქციისა და ცოდნის ნაკლებობით ამ საზოგადოებებს შორის. გარდა გამოწვევებისა, აღნიშნულ ნაწილში მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას საქართველოს ევროპეიზაციის პერსპექტივების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დგას რიგი გამოწვევების წინაშე, ის ევროინტეგრაციის მიმართულებით ბევრად უფრო აქტიურად მუშაობს, ვიდრე სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები და ცდილობს შეინარჩუნოს გრავიტაციული პოზიცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.

ევროპული ინტეგრაციის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები

ევროპეიზაციის ნაწილში ქვეყნის გამოწვევებისა და პერსპექტივების განხილვის შემდეგ, მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ქვეყნის მიერ ამ დრომდე გადადგმული ნაბიჯების შესახებ ევროინტეგრაციის მიმართულებით.

კერძოდ, მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკური შეთანხმებების შესახებ, საქართველოს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯების შესახებ ევროკავშირთან ვაჭრობის მიმართულებით, უვიზო მიმოსვლის რეჟიმისა და ქართულ მოსახლეობას შორის ევროკავშირთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ასევე, მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში საქართველოს მიერ გატარებული რეფორმების შესახებ კარგი მმართველობისა და დემოკრატიზაციის მიმართულებით.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან დანახული საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები

ტრენინგის აღნიშნულ ნაწილში, მონაწილეებს საშუალება ექნებათ, სხვა კუთხიდან დაინახონ საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები და გაეცნონ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ხედვას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. კერძოდ, როგორია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ხედვა საქართველოსა და მისი ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის შესახებ, როგორია მათი აღქმები და მოლოდინები და ემთხვევა თუ არა ისინი ქართული მხარის ხედვებს. მსგავსი ტიპის დისკუსია მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში არსებობს ძალიან მცირე ცოდნა ევროპული რეალობისა და ქვეყნის შესახებ ევროპული მხარის აღქმის შესახებ.

საქართველოს ევროინტეგრაციის მოდელები

აღნიშნული ნაწილი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ელემენტებსაც შეიცავს, რადგან მონაწილეები გაეცნობიან საქართველოს ევროინტეგრაციის განსხვავებულ მოდელებს და საშუალება ექნებათ, მათი შედარების საფუძველზე იმსჯელონ ამ მოდელებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე. ასევე, მონაწილეებს საშუალება ექნებათ იმსჯელონ იმაზე, თუ რომელი მოდელია მეტად ეფექტური საქართველოსთვის. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება ორ მოდელზე: რეგიონალურ და ინდივიდუალურ ინტეგრაციაზე და მოცემულ ნაწილში მოხდება ამ ორი მოდელის შედარებითი განხილვა.

აქტივობა 3: დასკვნითი ნაწილი - ჯგუფური მუშაობა

ტრენინგის ბოლო ნაწილში მონაწილეები დაიყოფიან რამდენიმე მცირე ზომის ჯგუფად და შეაჯამებენ მთლიანი ტრენინგის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციას და გამოყოფენ ძირითად საკითხებს. ასევე, მონაწილეებს დამატებით მიეწოდებათ ონლაინ რესურსები, სადაც ისინი სურვილის შემთხვევაში შეძლებენ, გაეცნონ დამატებით ინფორმაციას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესისა და მისი მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ.

1.2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობა: რას გულისხმობს აღნიშნული ფორმატები საქართველოსთვის?

აქტივობა 1. დისკუსია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ

ტრენინგის ამ ნაწილში მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდებათ ტრენინგის მიზნების, სტრუქტურისა და შედეგების შესახებ. შესავალ ნაწილში განხილული იქნება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მისი შემუშავების ისტორია, გეოპოლიტიკური მიზნები და მნიშვნელობა. ტრენინგის აღნიშნული ნაწილის ფარგლებში, მონაწილეებს განემარტებათ რას გულისხმობს საქართველოსთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში ყოფნა.

აქტივობა 2. საინფორმაციო სესია/დისკუსია - 'აღმოსავლეთის პარტნიორობა'

ტრენინგის აღნიშნული ნაწილის ფარგლებში განხილული იქნება ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფორმატი. კერძოდ, რა პოლიტიკურმა პროცესებმა შეუწყო ხელი აღნიშნული ფორმატის შემუშავებას, ასევე, ევროკავშირის რომელი წევრი სახელმწიფოები იყვნენ ინიციატორები. ამასთან განხილული იქნება თუ რას გულისხმობს ფორმატი, რომელი სახელმწიფოები არიან ფორმატის მონაწილეები საქართველოსთან ერთად და რა მიზანს ემსახურება აღნიშნული ფორმატის შექმნა. ტრენინგის აღნიშული ნაწილის ფარგლებში, ასევე, მიმოხილული იქნება, თუ რას გულისხმობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში საქართველოს მონაწილეობა პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებებს შორის კავშირების დამყარების თვალსაზრისით.

აქტივობა 3. საინფორმაციო სესია/დისკუსია - 'აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი'

ტრენინგის აღნიშნულ ნაწილში განხილული იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტები და ფორმატის განვითარების ეტაპები, ამასთან 2021 წლის მარტის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი და პერსპექტივები. ტრენინგის მონაწილეებს განემარტებათ, თუ რა განსხვავება არსებობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით კი დისკუსია შეეხება საქართველო, მოლდოვა, უკრაინა (EaP +) ქვეყნების პოლიტიკურ მისწრაფებებს და ევროკავშირის წევრობის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. ბოლოს, ტრენინგის აღნიშნული ნაწილი მიმოიხილავს ევროკავშირის მიერ, აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის გამოყოფილ ფინანსურ მხარდაჭერას COVID-19 პანდემიასთან ბროლის პროცესში.

აქტივობა 4: პრაქტიკული სავარჯიშო

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ძირითადი მიმართულებების: (1) ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; (2) ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; (3) კავშირების გაღრმავება, ენერგოეფექტურობა, გარემოსა და კლიმატის ცვლილებები; (4) მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები - შესწავლასა და ანალიზში დაეხმარება ტრენინგის მონაწილეებს. პირველ რიგში მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდებათ აღნიშნული მიმართულებების შესახებ, ხოლო შემდგომში მოხდება მონაწილეთა დაყოფა ჯგუფებად (მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად) და მიეცემათ სავარჯიშო, რომლის ფარგლებში დაევალებათ საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები შეუსაბამონ ინიციატივის ძირითად მიმართულებებს.

აქტივობა 5: დასკვნითი ნაწილი/შეჯამება

დასკვნით ნაწილში მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეკითხვები დაუსვან ტრენერს. შემდგომ მოხდება ტრენინგის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის შეჯამება. ტრენინგის დასასრულს, მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდებათ სასარგებლო წყაროების შესახებ, განსაკუთრებით კი იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ფორმატი სთავაზობს ქართველ ახალგაზრდებს.

2.1. უმცირესობათა უფლებები და ვალდებულებები ევროპული პოლიტიკის ჭრილში

შესავალი: უმცირესობათა განსაზღვრება

<u>სესია მოიცავს სალექციო ნაწილს და დისკუსიას</u>

ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების არაერთგვაროვანი განმარტება არსებობს. ტრენინგის ამ ნაწილში მონაწილეები გაეცნობიან უმცირესობათა ცნების საერთაშორისო სამართლებრივ დეფინიციას, კერძოდ, იმას თუ როგორ განისაზღვრება ეთნიკური და ეროვნული უმცირესობა, რა განსხვავებაა ამ ცნებებს შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვის და ინტეგრაციის რა საერთაშორისო მოდელები არსებობს. მოდელები განხილული იქნება სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების და პოლიტიკური ტრადიციების ჩვენებით. არაერთგვაროვანი განმარტების მიუხედავად სახელმწიფოთა უმეტესობისათვის გაზიარებულია 1975 წელს ინიცირებული უმცირესობათა განსაზღვრების სამუშაო ვერსია, რომელიც შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: <u>„უმცირესობები არიან ჯგუფები, რომლებიც რიცხობრივად უმცირესობაში არიან სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შდარებით, არიან არადომინანტურ პოზიციაში და რომელთა წევრებიც - სახელმწიფოს მოქალაქეები - გამოირჩევიან დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური თავისებურებებით და გამოხატავენ, თუმცა არაპირდაპირ, სოლიდარობას თავიანთი თავიანთი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის თუ ენის შენარჩუნების მიზნით“.</u>

უმცირესობები საქართველოში:

<u>სესია მოიცავს სალექციო ნაწილს და დისკუსიას</u>

ტრენინგის ეს ნაწილი შეეხება ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების მდგომარეობას საქართველოში. კერძოდ, როგორია დეტალური სტატისტიკური მონაცემები და განსახლების არეალი. ასევე როგორია უმცირესობების აღქმა სახელმწიფოს მიერ და უმცირესობათა პოლიტიკის რომელ საერთაშორისო მოდელთან ამჟღავნებს ის სიახლოვეს. საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობა არ განმარტავს ცნება „უმცირესობას". უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი - შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია ადგენს, რომ თავად უმცირესობათა უფლებაა აირჩიონ მოეპყრან თუ არა მათ, როგორც უმცირესობას. ანუ, ამჟამინდელი მიდგომით საქართველოში უმცირესობად ითვლება ეთნიკური ქართველების გარდა, ყველა ის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს მიაკუთვნებს უმცირესობათა ჯგუფს იმისდა მიუხედავად ეს კონკრეტული ჯგუფი თუ რა რაოდენობით, ან დროის რა ხანგრძლივობით ცხოვრობს ქვეყანაში.

უმცირესობათა პოლიტიკის მართვის ევროპული მექანიზმები

<u>სესია მოიცავს სალექციო ნაწილს და დისკუსიას</u>

ტრენინგის ამ ნაწილში ძირითადი აქცენტი გაკეთდება ევროპული საერთაშორისო მექანიზმების არსზე და მათ გამოყენებაზე. დეტალურად იქნება წარმოდგენილი ევროსაბჭოს, ეუთოს და ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები. განსახილველ მექანიზმებს შორის არის: ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია, რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, ეუთოს თემატური რეკომენდაციები უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის სფეროში. განხილული იქნება თითოეული საერთაშორისო მექანიზმის მთავარი მიზნები და დანიშნულება, ასევე ის პრაქტიკული ეტაპები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას მონაწილე სახელმწიფოებში. ამ ეტაპისათვის საქართველო მონაწილეობს მხოლოდ უმცირესობათა დაცვის ეროპული ჩარჩო-კონვენციის განხორციელებაში. კონვენცია ევროსაბჭოს მიერ მიღებულ იქნა 1995 წელს. ის მრავალმხრივი დოკუმენტია, რომელიც იურიდიულ ვალდებულებებსს აწესებს და ეხება ზოგადად ეროვნულ უმცირესობათა დაცვას. მისი მიზანია დაიცვას კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. კონვენციის მიზანია, აგრეთვე ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობათა სრულ და რეალურ თანასწორობას ისეთი პირობების შექმნის გზით, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი კულტურა და თვითმყოფადობა. კონვენციის მიერ უზრუნველყოფილი ძირითადი პრინციპებია: უმცირესობათა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობა, მშვიდობიანი თავშეყრის თავისუფლება, გაერთიანებათა შექმნის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეხედულების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, მედიის ხელმისაწვდომობა, განათლების უფლება, და ასე შემდეგ.

ევროსაბჭოს მეორე, იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, მართალია, საქართველოს მხრიდან არ არის ხელმოწერილი, თუმცა ევროსაბჭო, საკუთარი დიპლომატიური მისიის და სტრასბურგში შესაბამისი სამდივნოს მეშვეობით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვადასხვა კვლევით ცენტრებთან სარატიფიკაციო დოკუმენტის დროულად მომზადების თაობაზე. ამ ორი ევროსაბჭოს დოკუმენტის გარდა, ასევე მნიშვნელოვან საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს ეუთოს ფარგლებში არსებული ვალდებულებები. კერძოდ, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის (HCNM) მანდატი. ეს სტრუქტურა ეუთოს ფარგლებში 1992 წელს შეიქმნა, მას დიპლომატიური დატვირთვა გააჩნია და მუშაობს კონფლიქტების თავიდან აცილების და ადრეული გაფრთხილების მიმართულებით. ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის რეკომენდაციებს არა აქვთ იურიდიულად მავალდებულებელი ხასიათი სახელმწიფოებისათვის, არ არსებობს არც მათი შესრულების მონიტორინგის სისტემა. თუმცა ისინი პოლიტიკური თვალსაზრისით მავალდებულებელია ეუთოს წევრი სახელმწიფოებისათვის და მნიშვნელოვანი ნორმატიული ბერკეტის როლს ასრულებს იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ევროკავშირში გაწევრიანება სურთ.

საქართველოს მიერ აღებული ადგილობრივი სამართლებრივი ვალდებულებები

<u>სესია მოიცავს სალექციო ნაწილს და დისკუსიას</u>

ამ ნაწილში განხილული იქნება უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს მიერ აღებული ადგილობრივი ვალდებულებები და მათი შესრულების მექანიზმები. ის თუ რა სახის ანარიშგება არსებობს და როგორია ამ პროცესში ადგილობრივი, ქართული სამოქალაქო საზოგაადოების ორგანიზაციების როლი და ფუნქცია.

საქართველოს შიდა კანონმდებლობა და მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები კონკრეტულ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოს უმცირესობებთან მიმართებაში. უმცირესობათა პოლიტიკის მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2009 წლიდან მოქმედებს. კონცეფციის განხორციელებაზე მთავარი პასუხისმგებელი სახელმწფო სტრუქტურაა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. კონცეფცია ემყარება თანასწორობის პრინციპს და „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია" მიდგომას. დოკუმენტის ზოგადი მიზანია კულტურული ღირებულებების და საზოგადოების თითოეული წევრის იდენტობის დაცვა. სტრატეგიის დოკუმენტი 4 ძირითად მიმართულებას გამოყოფს: თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწოფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა. სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გაწერილია კონკრეტული სამოქმედო გეგმები 5 წლის ვადით შესაბამისი პასუხისმგებელი ინტიტუტების მითითებით. სტრატეგია ასევე ადგენს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც შეიცავს შესაბამის შეფასებით და ანგარიშგებით მექანიზმებს.

სტრატეგია ხელს უწყობს უმრავლესობასთან მეტ ურთიერთობას და ინტერაქციას, რამდენადაც სამოქალაქო ინტეგრაცია გულისხმობს მთლიანი საზოგადოების, მისი ყოველი წევრის ჩართულობას. სტრატეგიით მთავრობა ასევე იღებს ვალდებულებას დაიცვას მცირე და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო და იურიდიული ინტერესები, ასევე დაუშვას მათი მშობლიური ენების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში.

ტრენინგის დროს წარმოდგენილი იქნება აღნიშნული შიდა სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიის ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებული სირთულეები.

ტრენინგის შეჯამება

ტრენინგის დასკვნით ნაწილში მონაწილეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია უმცირესობებთან დაკავშირებით სასარგებლო რესურსების შესახებ. ასევე შეჯამებული იქნება უმცირესობებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მიდგომები, როგორც სახელმწიფოს, ასევე სხვა აქტორების მხრიდან. ასევე გაანალიზებული იქნება საქართველოში უმცირესობათა მდგომარეობა ევროპული პოლიტიკის ჭრილში.

3.1. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან

აქტივობა 1 - დისკუსია სავაჭრო პოლიტიკის შესახებ
აქტივობა 2 - საინფორმაციო სესია/ახსნა–განმარტებითი მეთოდი

ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ტრენერს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას: საქართველო არ აწესებს კვოტებს იმპორტსა და ექსპორტზე; საქართველოდან ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადიდან; ექსპორტი არ იბეგრება დღგ-თი და აქციზის გადასახადით (მათი გადახდა ხდება დანიშნულების ქვეყანაში); იმპორტის გადასახადის 0%-იანი განაკვეთი ვრცელდება პროდუქციის დაახლოებით 80%-ზე, დანარჩენი კი იბეგრება 5%-იანი და 12%-იანი ადვალური განაკვეთით და ასევე სპეციფიკური განაკვეთით (ალკოჰოლური სასმელები და მსუბუქი ავტომობილები).

სავაჭრო ხელშეკრულებები და რეჟიმები:

<u>ჩვეულებრივი (საბაზო):</u>

- იმ ქვეყნებთან, ვისთანაც საქართველოს არ აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე მოქმედი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი.
- საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე პრეფერენციული სავაჭრო ურთიერთობები.

<u>პრეფერენციული:</u>

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი - საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (164 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) საფუძველზე. ეს ითვალისწინებს ვმო-ს წევრი ქვეყნებისთვის განსხვავებულ დაბალ ტარიფებს.
- პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა (GSP) - პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის ძირითადი არსია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის მხრიდან ეკონომიკურად შედარებით სუსტი ქვეყნების დახმარება ექსპორტის განვითარებაში. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნები პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (GSP) ბენეფიციარებს ცალმხრივად (საპასუხო შეღავათების მიღების გარეშე) ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს საგარეო ვაჭრობაში. 2005 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ევროკავშირის GSP-ს სქემის დამატებითი პრეფერენციების ე.წ. პრეფერენციების ზოგადი სისტემა - „GSP+" - ეს სისტემა სავაჭრო ტარიფების ცალმხრივად შემცირების ან გაუქმების საშუალებას იძლევა; რაც იმას მოიაზრებს, რომ ქართული წარმოშობის 7200-მდე დასახელების პროდუქტი GSP-ის ქვეყნებში ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შედის.
- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები: (დსთ-ის ქვეყნებთან (მრავალმხრივი), თურქეთთან (ორმხრივი), EFTA (ნორვეგია, ისლანდია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი) - ფარავს საქონლით ვაჭრობას, DCFTA, ჩინეთთან და ჰონგ-კონგთან) – ვაჭრობა სატარიფო ბარიერების გარეშე, სხვადასხვა ბიურკრატიული ბარიერების გაუქმება (არასატარიფო ბარიერების გარდა).

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე - DCFTA

რას გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA)? ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA) გადაჰყავს ქვეყანა საშეღავათო სავაჭრო რეჟიმზე და ქმნის შესაძლებლობას, გაზარდოს ბაზარზე წვდომა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რაც ერთმანეთთან ჰარმონიზებულ რეგულაციებზეა დაფუძნებული. კერძოდ, DCFTA საშუალებას აძლევს ქართველ მეწარმეებს, განათავსონ თავიანთი პროდუქტი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე სატარიფო ბარიერებისა და კვოტების გარეშე.

საქონლით ვაჭრობის პირობები:

- ექ<u>სპორტი:</u> არცერთ მხარეს არ აქვს უფლება დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა ექვივალენტური გადასახადი საქონლის ექსპორტზე.
- <u>იმპორტი:</u>

<u>საქართველოში:</u> შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ევროკავშირში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე საქართველოში საბაჟო გადასახადი გაუქმდა.
<u>ევროკავშირში:</u> შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე საქართველოში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდა, ამასთან საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებულ პროდუქციის ნაწილზე განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები:

- კვოტა ნიორზე (წლიური საიმპორტო კვოტა - 220 ტონა);
- ევროკავშირში „შესვლის ფასი“ (entry price – ad valorem free) - 28 სახეობის სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე (მთლიანი პროდუქციის 0,3 %), ევროკავშირში „შესვლის ფასი“ მოქმედებს, რაც ამ პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვარის დადგენას გულისხმობს. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე შესვლის ფასის ადვალორული კომპონენტი (პროცენტული საბაჟო გადასახადი) გაუქმდა და დარჩა მხოლოდ სპეციფიკური საბაჟო გადასახადი. თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქციის საინვოისო ფასი, ევროკავშირში იმპორტისას, ევროკავშირის მიერ დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორი გადაიხდის სპეციფიკურ საბაჟო გადასახადს, ხოლო თუ თანაბარი ან უფრო მაღალი იქნება, მაშინ სპეციფიკური საბაჟო გადასახადის გადახდაც აღარ უწევს;
- გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი (anti-circumvention mechanism) - სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სახეობა (მთლიანი პროდუქციის 3%) გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს ექვემდებარება. როდესაც კალენდარული წლის დასაწყისიდან გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი მიაღწევს ფიქსირებული რაოდენობის 70%-ს, ევროკომისია ატყობინებს საქართველოს მთავრობას კონკრეტული პროდუქტის იმპორტის მოცულობის შესახებ.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა წარუდგინოს ევროკავშირს არგუმენტირებული (მაგ. წარმოების მოცულობის გაზრდის, უხვმოსავლიანობის და ა.შ) დასაბუთება ექსპორტის შესაძლო გადაჭარბების შესახებ.

ასეთ შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია განახორციელოს მექანიზმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:

- საქონლით ვაჭრობა;
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები;
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია;
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;

- საჯარო შესყიდვები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- კონკურენცია;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში;
- გამჭვირვალობა;
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
- დავების მოგვარება;
- დაახლოების ზოგადი დებულებები.

აქტივობა 3 - ჯგუფური მუშაობა

ტრენერი მსმენელებს აცნობს ვაჭრობის დინამიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებს და აძლევს ჯგუფურ დავალებას. ჯგუფის წევრები ირჩევენ ექსპორტის პოტენციალის მქონე პროდუქტს, მოიძიებენ სასაქონლო კოდს და ექსპორტის დანიშნულების ქვეყნებში სხვადასხვა წლებში ნახულობენ დინამიკას, აგრეთვე საექსპორტო ძირითად სატარიფო და არასატარიფო მოთხოვნებს.

3.2. უვიზო მიმოსვლა ევროკავშირსა და შენგენის ზონის ქვეყნებში

შესავალი ნაწილი - საინფორმაციო სესია

ტრენინგის აღნიშნულ ნაწილში მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ემიგრაციასთან მათ საერთაშორისო დაცვასა და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით. ინფორმაცია მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირში მიგრაციის სფეროში სფეროში არსებულ კანონმდებლობას და მის მოქმედებას. მოყვანილი იქნება ზოგადი ინფორმაცია მიგრაციის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში (ფულადი გზავნილების სტატისტიკა და მისი შეფარდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან და წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში). ამასთან ერთად წარმოდგენილი იქნება მცირე ისტორიული ექსკურსი, რომელიც აღწერს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას მიგრაციის მიმართულებით (მაგ: ვიზის ფასილიტაცია, რეადმისია, ცირკულარული მიგრაციის სქემები და ა.შ.). შესავალ ნაწილი ასევე მოიცავს მონაწილეთათვის შრომითი მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ვიზის ლიბერალიზაციის ნაწილი - საინფორმაციო სესია

აღნიშნული ნაწილი შეეხება ვიზის ლიბერალიზაციის პროცესს და ის მოიცავს პერიოდს სავიზო დიალოგის დაწყებიდან უვიზო მიმოსვლამდე. მოცემულ ნაწილში ტრენერს და ტრენინგის მონაწილეებს ექნებათ ინტერაქცია ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მათი შესრულება. წარმოდგენილი იქნება კონკრეტული მაგალითები და მათი გავლენა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე (მაგ: პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მიღება და დახვეწა; ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და მისი საჭიროება; ე.წ. „მწვანე საზღვარზე“ არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; დოკუმენტების უსაფრთხოება და ა.შ.). უვიზო მიმოსვლა და მისი გავლენა ე.წ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე.

ლეგალური დასაქმება ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში - დისკუსია

ტრენინგის მესამე ნაწილი შეეხება ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში ლეგალური დასაქმების გზებს. კერძოდ აღნიშნული ნაწილში საუბარი იქნება ცირკულარული მიგრაციის არსებულ სქემებზე და მათ პრაქტიკაში გამოყენებაზე. საუბარი ასევე შეეხება არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს. შრომითი მიგრაციის კუთხით განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება არაევროკავშირის ქვეყნებზეც (მაგ: თურქეთი და რუსეთი). ამ საკითხზე მსჯელობისას საუბარი ასევე შეეხება COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებულ გლობალურ პანდემიას და მის გავლენას როგორც შრომით მიგრაციაზე, ასევე ირიბად ქვეყნის ეკონომიკაზე.

პრაქტიკული ინფორმაცია - ვიზის ლიბერალიზაციის შემდეგ ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში - დისკუსია

მოცემულ ნაწილში ტრენინის მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ ინფორმაციას თუ რა შემთხვევაში ეძლევა უფლება საქართველოს მოქალაქეს გადაკვეთოს ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნების საზღვარი. კერძოდ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საზღვრის კვეთისას წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ. ასევე მოცემულ ნაწილში საუბარი შეეხება უვიზო მიმოსვლის გავლენაზე როგორც სამიზნე ასევე წარმოშობის ქვეყნებზე.

დასკვნითი ნაწილი - საინფორმაციო სესია და დისკუსია

ბოლო ნაწილში მოხდება იმ ცოდნის და უნარ-ჩვევების შეჯამება, რასაც ტრენინგის მონაწილეები შეიძენენ. ამასთან ერთად, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სასარგებლო წყაროების შესახებ, სადაც დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებათ. ასევე საუბარი შეეხება ვიზის ლიბერალიზაციის შეჩერების მექანიზს და იმ შესაძლო რისკებს რაც დაკავშირებულია მის ამოქმედებასთან.

3.3. საგანმანათლებლო პროგრამები ევროკავშირთან

შესავალი ნაწილი

მონაწილეების გაცნობა, ტრენინგის მიზნების გაცნობა და მონაწილეების მოლოდინების განსაზღვრა. თეორიული ნაწილისთვის ნიადაგის მომზადება ერაზმუსის პროგრამების შესახებ მონაწილეებთან კითხვა/პასუხის აქტივობის მეშვეობით.

საერთაშორისო კრედიტ მობილობა (International Credit Mobility – ICM)

<u>საინფორმაციო სესია და ენერჯაიზერი</u>

საერთაშორისო კრედიტ მობილობა (International Credit Mobility – ICM) - მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

გაცვლითი პროგრამები ხორციელდება საქართველოს და ევროპის (პროგრამის ქვეყნების) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში. სტუდენტი უნდა იყოს ბაკალავრის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტი, რათა შეძლოს საერთაშორისო კრედიტ მობილობაში მონაწილეობა.

სტუნდენტი ჯერ გადის შიდა კონკურსს საკუთარ უნივერსიტეტში და შემდგომ მიმღებ უნივეერსიტეტში. თითოეულ სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს გრანტი სასწავლო მიზნებისთვის საერთო ჯამში 12 თვის ვადით (თითოეულ საფეხურზე). სტუდენტი უნდა იყოს დარეგისტრირებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უნდა იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, რომელიც საბოლოოდ მიანიჭებს მას აღიარებულ აკადემიურ ხარისხს ან სხვა უმაღლესი დონის კვალიფიკაციას (დოქტორანტის ხარიხის ჩათვლით). მობილობის ფარგლებში პროგრამა სრულიად ანაზღაურებს სწავლისა და მგზავრობის ხარჯებს. გარდა ამისა, სტუდენს აქვს სტიპენდია 800-900 ევროს ფარგლებში, რაც დამოკიდებულია იმ ქვეყანაზე, რომელ ქვეყანაშიც ჩადის.

მობილობისთვის აუცილებელი საბუთებია:

- CV - სასურველია გამოიყენოთ Europass ფორმატი.
- ცნობა სტუდენტობის შესახებ.
- ენის ფლობის სერტიფიკატი (რიგ შემთხვევებში ენის ტესტი ტარდება უნივერსიტეტში).
- სამოტივაციო წერილი.
- უკვე გავლილი საგნების ჩამონათვალი კრედიტებისა და შეფასების მითითებით (გაიცემა უნივერსიტეტის მიერ).
- რიგ შემთხვევებში დამატებით ითხოვენ სარეკომენდაციო წერილს პროფესორებისგან.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები (JMD)

<u>საინფორმაციო სესია და წყვილებში მუშაობა</u>

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები ეს არის ევროპის რამოდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად შემუშავებულ პროგრამა. აპლიკანტი პროგრამას არჩევს დამოუკიდებლად, მას შემდეგ რაც საბაკალავრო პროგრამას დაასრულებს ან თავის ან სხვა ქვეყანაში. აპლიკანტი ინდივიდუალურად განაცხადს აგზავნის პირდაპირ პროგრამის მაკოორდინირებელ უნივერსიტეტში. შერჩეული კანდიდატი ირჩევა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.

ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

- ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს ბაკალავრის დიპლომი (ან არის ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე).
- ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს.
- არ არის საჭირო აქტიური სტუდენტის სტატუსი.
- საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურზე მანამდე მიღებული Erasmus+ სტიპენდია დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე სულ მცირე ორ ევროპულ უნივერსიტეტში (ევროპის შიგნით მგზავრობის ხარჯებს პროგრამა ანაზღაურებს). სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეიძლება იყოს 120, 90 ან 60 ECTS კრედიტი, შესაბამისად სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს ერთ და ორ წელს შორის. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ან ერთობლივი (Joint Degree), ან მრავლობითი (Multiple Degree) აკადემიური ხარისხი. საზღვარგარეთ მიღებული აკადემიური ხარისხების აღიარების პროცესს საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (www.eqe.ge) ახორციელებს.

კონკურსში მონაწილეობის წესები:

- ერთ აპლიკანტს ერთდროულად (ერთი კონკურსის ფარგლებში) შეუძლია განაცხადის გაგზავნა მაქსიმუმ სამ პროგრამაზე.
- აპლიკანტი ინდივიდუალურად განაცხადს აგზავნის პირდაპირ პროგრამის მაკოორდინირებელ უნივერსიტეტში (საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია კონკრეტული პროგრამის ვებგვერდზე). განაცხადი კეთდება ონლაინ რეჟიმში. წინასწარ უნდა დაადგინოთ ყველა დეტალი სწორედ მაკოორდინირებელ უნივერსიტეტთან, რამდენადაც კონკურსის წესები შეიძლება პროგრამების მიხედვით განსხვავებული იყოს.

მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ:

- მიუხედავად საერთო მახასიათებლებისა, ყველა პროგრამას აქვს ინდივიდუალური მოთხოვნები - აუცილებლად გადაამოწმეთ დეტალები პროგრამის ვებგვერდზე. დამატებით მიმართეთ პროგრამის საკონტაქტო პირს (ინფორმცია იხილეთ პროგრამის ვებგვერდზე).
- აპლიკაციების მიღება პროგრამაზე ცხადდება ორჯერ - ერთხელ სტიპენდიის მაძიებელთათვის (Scholarship seekers) და ერთხელ მათთვის, ვისაც სტიპენდია არ სჭირდება და თავად აპირებს საკუთარი სწავლის დაფინანსებას). დედლაინები შეიძლება განსხვავდებოდეს.
- ჩვენ ვერ/არ ვაქვეყნებთ ჩვენს ვებგვერდზე ყოველ ცალკეულ სამაგისტრო პროგრამაზე საბუთების მიღების ვადებს (100-ზე მეტი პროგრამაა), ასე რომ თავად აპლიკანტებმა უნდა ადევნონ თვალყური მათთვის საინტერესო პროგრამების ვებგვერდებს.
- როგორც წესი, მიღება ცხადდება შემოდგომაზე, საბუთების მომზადებისათვის სამი-ხუთი თვეა. საბუთების წარდგენის ვადებია - გვიანი შემოდგომა, ან მომდევნო წლის იანვარი-მარტი. შეტყობინება სტიპენდიის მიღების შესახებ მოდის ყველაზე გვიან მაისში. სწავლა იწყება აგვისტო - ოქტომებრში (დამოკიდებულია პროგრამაზე).

პროგრამაში მონაწილეობისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია:

- სამოტივაციო წერილი.
- სააპლიკაციო ფორმა.
- ინგლისური ენის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი (IELTS, TOEFL...).
- სარეკომენდაციო წერილი (სასურველია საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან).
- CV
- დიპლომი +დიპლომის დანართი.
- დანარჩენი პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრაქტიკული ნაწილი: როგორ შევავსოთ სამოტივაციო წერილი და CV

ევროპის სოლიდარობის კორპუსი (ESC)

<u>საინფორმაციო სესია</u>

ევროპის სოლიდარობის კორპუსის მიზანია მოხალისეობის გზით ხელი შეუწყოს სოლიდარობას, როგორც ღირებულებას, გაზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. პროექტის ფარგლებში, შერჩეული მონაწილე მიდის საზღვარგარეთ 2 თვიდან 1 წლამდე ვადით, მოხალისეობრივად მუშაობს წინასწარ შერჩეულ ორგანიზაციაში და იღებს გამოცდილებას იმ სფეროში, რომელიც მას ყველაზე მეტად აინტერებს. ევროპის სოლიდარობის კორპუსი მოიცავს შემდეგ პროგრამებს: მოხალისეობა, სოლიდარობის პროექტები, სტაჟირება, დასაქმება.

<u>საქართველოს მოქალაქეებს აქვთ მხოლოდ ESC მოხალისეობრივ აქტივობებზე დარეგისტრირების და მონაწილეობის უფლება</u>

იმ ადამიანებს, ვისაც გაკეთებული აქვს ESC-ის წინამდებარე პროგრამა EVS (European Volunteering Service) 2 თვეზე მეტი დროით, მაშინ ESC-ის პროგრამებზე მონაწილეობის საშუალება აღარ გექნებათ. მონაწილეობა შეუძლიათ 18 – 30 წლამდე ახალგაზრდებს 2-დან 12 თვემდე პროექტის ვადაში. მოხალისეობა მოუწევთ სხვადასხვა ორგანიზაციებში, შეიძლება იყოს, როგორც კერძო, ასევე საჯარო დაწესებულება.

ქვემოთ იხილეთ ჩამონათვალი იმ მიმართულებისა, თუ რა მიმართულებით მოგიწევთ მოხალისეობა ESC პროგრამაში მონაწილეობისას. აპლიკაციის შევსების დროს, თითოეულ პროგრამაზე გაქვთ თქვენ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რას ეხება პროექტი. ესენი შეიძლება იყოს:

ინკლუზია

მიგრაცია

მოქალაქეობა და დემოკრატია

ბუნებრივი კატასტროფები

გარემოს დაცვა

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

განათლება და სწავლება

სპორტი

შემოქმედებითობა

დასაქმების ხელშეწყობა

თუ თქვენ გადაწყვეტთ ESC პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, თქვენ დაგჭირდებათ, როგორც მიმღები (რომელიც ვაკანსიას აცხადებს), ისე გამგზავნი (საქართველოდან) ორგანიზაცია.

გამგზავნი, მხარდამჭერი ორგანიზაციის პასუხისმგებლობები:

- გამგზავრებამდე მომზადება/ტრენინგი, კონსულტაცია.
- მასპინძელ ორგანიზაციას და აპლიკანტს შორის ასრულებს შუამავლის როლს.
- ვიზა, დაზღვევა და სხვა დოკუმენტებით უზრუნველყოფა.

მიმღები, მასპინძელი ორგანიზაციის პასუხისმგებლობები:

- მოხალისის შერჩევა, მასთან კომუნიკაცია.
- ყოველთვიური შემოსავლი, საცხოვრებელი და სხვა ხარჯებით უზრუნველყოფა.
- პროექტის ყველა ეტაპზე მოხალისის მხარდაჭერა.

დასვნითი ნაწილი: შეჯამება და ზოგადი დისკუსია.

ტრენინგის სახელმძღვანელო
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) | 2020